

არტისტი: სასცენო შემსრულებელი თუ მხატვარი?

უცხო ენიდან ნასესხებ ხელობის აღმნიშვნელ სახელთა შორის ერთ-ერთია **არტისტი**, რომელიც ქართულ ენაში აღნიშნავს ხელოვნების ნაწარმოების საჯარო შემსრულებელს, სცენისა და ესტრადის ნებისმიერ წარმომადგენელს, ძირითადად, მსახიობს, აგრეთვე, – დირიჟორს, საესტრადო მომღერალს, ინსტრუმენტალისტს... ქართული ლექსიკონების განმარტებით, ფრანგული არტისტი (artiste) ქართულში რუსულის გზითაა (артист) შემოსული როგორც ფუძე (ამ სიტყვის ლათ. art ძირი ქართულში უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა და განმარტებითი ლექსიკონის ახალ გამოცემაში არ დაფიქსირებულა):

არტისტი-ი (არტისტისა) [ფრან. artiste] ადამიანი, რომელიც საჯაროდ ასრულებს (თამაშობს) ხელოვნების ნაწარმოებს, – მსახიობი. *ვიფიქრე, ოპერის რომელიმე სოპულარულ არტისტს მოელიან-მეთქი (ს. კლდ.). მე რესპუბლიკის სახალხო არტისტი გავხდები (თ. ჭილ.). ქართველ არტისტებს აქ დიდი ყურადღება ექცეოდათ (დ. კლდ.)* [ქეგლი I, 1950, ახ. ქეგლი I, 2008, უცხო სიტყვათა ლექს. 1989]. *არტისტი-ი* იგივეა, რაც მსახიობი. ცნობილი არტისტი [ქართ. ლექს. 2014].

ქეგლის ძველ რედაქციაში *არტისტი-ის* პარალელური მნიშვნელობა „*თავისი საქმის ოსტატი*“ [დალი I, 1981: 24] ბარბარიზმად კვალიფიცირდება: *არტისტი-ი... – ბარბარ. თავისი საქმის ნიჭიერი ოსტატი. საკუთარი მეპარიკე გვყავდა – პატარა დათიკო ამირაჯიბი, დღეს თავის[ი] ხელობის არტისტი (ა. ცაგარ.)* [ქეგლი I, 1950]. ქეგლის ახალ რედაქციაში წარმოდგენილ ილუსტრაციას ეს შეფასება აღარ ახლავს.

ქართულში *არტისტი* ძირითადად *მსახიობის* სინონიმურ დუბლეტადაა მიჩნეული. როგორც თითქმის ყველა ასეთი წყვილის (ინტერნაციონალიზმი – ორიგინალური ტერმინი) შემთხვევაში, პარალელური ხმარების გარდა, აქაც დასტურდება გარკვეული დისტრიბუცია: ერთი მხრივ, გვაქვს **მსახიობის სახლი, მსახიობის ოსტატობა** და სხვ., მეორე მხრივ, **სახალხო არტისტი, დამსახურებული**

არტიტი... (არტიტიზმი ნაგულისხმევია სცენასა და ესტრადასთან დაკავშირებული სხვა შემოქმედით – დირიჟორი, საესტრადო მომღერალი, ინსტრუმენტალისტი...) [აფრიდონიძე, 1988: 290], მაგრამ არ გვაქვს წოდება **სახალხო მსახიობი, დამსახურებული მსახიობი...**

არტიტი – ფუმიდან ნაწარმოებია შემდეგი ფორმები: ზედსართავი სახელი (**არტიტიული**), განყენებული (აბსტრაქტული) არსებითი სახელი (**არტიტიულობა**), ზმნა (**არტიტიობს**), მასდარი (**არტიტიობს**). **არტიტიზმი**, ერთი შეხედვით, ქართულში **არტიტი** – ფუმიდან გაქართულებული **-იზმ** სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ისევე როგორც **არტიტი**, **არტიტიზმი** ნასესხები სიტყვაა. ნასესხებ სიტყვათაგან **-იზმ**-ით დაბოლოებული ბევრი სიტყვა **სი-ე** და **-ობა** მაწარმოებლიან სიტყვათა რიგში დგება სემანტიკურად: ლიბერალ-იზმი || ლიბერალ-ობა [ფოჩხუა 1974: 138], **არტიტი-იზმი** || **არტიტიულ-ობა**...

ქეგლის ძველ რედაქციაში **არტიტიზმი** არ არის დაფიქსირებული, ახალ რედაქციაში როგორც სალექსიკონო ერთეული შეტანილია, ოღონდ – წარმომავლობის ჩვენების გარეშე. როგორც ბერძნულ-ლათინური ძირის სიტყვათა უმეტესობა, ქართულში ის წიგნური წარმოშობისაა (წიგნური წარმოშობისადაა მიჩნეული ის რუსულშიც [ოჟეგოვი 1963], მაგრამ შუამავალი ენა აქ არაა მითითებული, რადგან საამისო უდავო ნიშანი არ იძებნება:

არტიტიზმი-ი (არტიტიზმისა) წიგნ. არტიტის თვისება, – არტიტიულობა.

ქართველი კაცის ბუნება არის შინაგანი არტიტიზმის განუყოფელი, თითქმის უზადლო ნიჭი (გ. ასათ.).

იუმორისტულსა და პოეტურს ისეთი ფაქიზი არტიტიზმით ათავსებდა ერთმანეთთან, რომ მართლაც დიდი ხელოვნება გამოდიოდა (ნ. გელი.)

პეტრე ამირანაშვილი... იტაცებდა [ახალგაზრდებს] თავისი ჭეშმარიტი არტიტიზმით („ლიტ. საქ.“) [ახ. ქეგლი I, 2008].

არტიტი – ფუმიდან ნაწარმოებ სიტყვათა მნიშვნელობა სათანადოდ აფიქსების მნიშვნელობითაა გაპირობებული:

არტიტი > **არტიტი-ულ-ი** (-ულ < -ურ) წარმომავლობის სუფიქსი ქართულში აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით) – არტიტისთვის დამახასიათებელი, არტიტის შესაფერი...

არტიკულ-ი > **არტიკულ-ობა** (-ობა სუფიქსი აბსტრაქტული (განყენებული) სახელების მაწარმოებელია) – არტიკულ თვებთან ერთობლიობა...

არტიკ-ი > **არტიკ-ობ-ს** (-ობ თემისნიშნთან საშუალო გვარის ზმნათა უმეტესობა ნასახელარია) – 1. არტიკობას ეწევა, – მსახიობობს:

ერთხანს არტიკობდა, მერე მხატვრობას მოჰკიდა ხელი.

1 სერიის თემაზე (არტიკობ-) -ა სუფიქსის დართვით ვიღებთ მოქმედება-მდგომარეობის სახელს: **არტიკობა** – არტიკად ყოფნა, არტიკის ხელობა, პროფესია:

მე კი არ ამომირჩევია შენთვის არტიკობა (გ. დოჩ.);

გვარის სირცხვილად თვლის ჩემს არტიკობას (ს. კლდ.);

არ მინდა, ბატონო, თქვენს... თეატრში არც არტიკობა, არც სუფლიორობა (ვ. ბუაჩ.)... [ახ. ქეგლი I, 2008]

ქეგლის ილუსტრაციების ერთ მცირე ნაწილში დაჩნდება „არტიკის“ და მისი დერივატების ფართო მნიშვნელობაც (ხელოვნების მაწარმოების ოსტატური შემსრულებელი, ზოგადად, შემოქმედი): **არტიკული, არტიკულობა – სახელოვნებო, შემოქმედებითი ოსტატობა, შემოქმედებითობა; არტიკულად – ოსტატურად, შემოქმედებითად.**

[გოგოლაძემ] არტიკული უშუალოებით... შეასრულა მოგარტის კონცერტის პირველი ნაწილი („ახ. კომ.“).

ასეთი მხატვრული სირთულე მომდინარეობს... არა შინაარსისაგან დაცლილი ფორმალური არტიკულობიდან... (შ. ნიშნ.).

სწორედ ეს ჰუმორი იყო საფრთხილო ბეწვის ხიდი, რომელიც ასე არტიკულად გაიარა ავტორმა (მ. ლებან.) [ახ. ქეგლი I, 2008].

ქართულში არტიკ-ი, როგორც უკვე ითქვა, მონოსემიურ სიტყვადაა მიჩნეული. მაგრამ, ილუსტრაციების მიხედვით, არტიკი და მისგან მაწარმოები სიტყვებიც პოლისემიური ჩანს. მათ მნიშვნელობას წინადადებაში კონტექსტი აზუსტებს. მაგალითად, წინადადებაში: *არ მინდა, ბატონო, თქვენს... თეატრში არც არტიკობა, არც სუფლიორობა (ვ. ბუაჩ.), არტიკობა „მსახიობობას“* გულისხმობს და ამ მნიშვნელობას მისი გარემომცველი სიტყვები *თეატრში, სუფლიორობა* ადასტურებს, სხვა კონტექსტში გარემომცველი სიტყვები სხვა მნიშვნელობას ამოატივტივებს. მაგ.: *[გოგოლაძემ] არტიკული უშუალოებით... შეასრულა მოგარტის კონცერტის პირველი ნაწილი*

(„ახ. კომ.“). ამ ფრაზაში „**მუსიკოსი**“ იგულისხმება, რაზეც მნიშვნელობის ამომცნობი სიტყვები – **მოგარტის კონცერტი** მიაწინებს (პოლისემიისა და კონტექსტის მიმართების შესახებ იხ. ფოჩხუა, 1974: 184-185).

შ. აფრიდონიძე ყურადღებას ამახვილებს „მსახიობ-“ და „არტი-“ ფუძეთაგან ნაწარმოებ ადიექტურ ფორმებზე და აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებ ფორმებს შორის კიდევ უფრო მეტი სხვაობა იჩენს თავს, ვიდრე თვით ამ სახელებშია: „შდრ. **სამსახიობო ფაკულტეტი** და **არტიტული შესრულება** (ე. ი. ნამდვილი ხელოვანისთვის ნიშანდობლივი შესრულება). შდრ. აგრეთვე გალაკტიონისეული „**არტიტული ყვავილები**“: ეს გამოთქმა არტიტული ხელოვნების მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგრამ *სა-ო* აფიქსებით წარმოებისას არაიშვიათად ვიღებთ აშკარა პერიფერიული, დიალექტური კოლორიტით შეფერილ ლექსიკურ ერთეულს. გავიხსენოთ, მაგალითად, ერთი ცნობილი ეპიზოდი ნ. დუმბაძის მოთხრობიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“... **მე საარტიტოზე მინდა შევიდეო...** ცხადია, კომიკური ეფექტი ამ ეპიზოდისა ძირითადად სიტუაციურია, მაგრამ მას უეჭველად აძლიერებს და ამძაფრებს სიტყვიერი გამომსახველობაც, კერძოდ, სიტყვა **საარტიტო** (ნაცვლად სამსახიობოსი...). ნიშანდობლივია, რომ ქართული ტრადიციული პრეფიქსულ-სუფიქსური *სა-ო* წარმოებით გაფორმებული ინტერნაციონალიზმი – **საარტიტო** (რომელსაც მოეპოვება უფრო თანამედროვე, ოდენსუფიქსური წარმოების ფორმაც – არტიტული), ერთდროულად პროვინციულობისა და ანაქრონიზმის შთაბეჭდილებას ახდენს და ფრაზას დასავლურქართული სოფლის მეტყველების კოლორიტით აცოცხლებს“ [აფრიდონიძე 1988: 291]. არც ქველში და არც ქართულ ლექსიკონში **საარტიტო** ფორმა არაა დადასტურებული.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში „არტიტი“ უკვე ნაკლებად იხმარება კონკრეტულად „მსახიობის“ (დრამის, კინოს და ა. შ.) მნიშვნელობით. დღეს ეს მნიშვნელობა უკვე მოძველებულად ითვლება (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაგულისხმევია სასცენო შემსრულებლის წოდება, მაგ., **საბჭოთა კავშირის / რესპუბლიკის / საქართველოს სახალხო / დამსახურებული არტიტი** და ა.შ.), მაგრამ ეს სიტყვა საკმაოდ ხშირად გამოიყენება **მუსიკოსის (ინსტრუმენტალისტი, ვოკალისტი და ა.შ.)** მისამართით:

„**მსმენელის წინაშე** წელს... 20-ზე მეტი **ქართველი არტისტი** წარდგება“ (იმედი 2017).

„Alervision Group-ის ცნობით, დაინტერესებული **არტისტები** ონლაინრეგისტრაციას 15-დან 27 მაისის ჩათვლით შეძლებენ... 10 ივნისს **ფინალურ კონცერტზე** სამი გამარჯვებული გამოვლინდება“ (იმედი 2017).

„GEM Fest-ის მესამე სეზონი უპრეცედენტოდ მასშტაბურ სახეს მიიღებს და ანაკლიაში ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება... წელს ერთი თვის განმავლობაში **მსოფლიო მასშტაბის არტისტები დაუკრავენ** და სოფელ განმუხურში დაგეგმილი ფესტივალი მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური და პოპულარული ფესტივალების რანგის იქნება“ (პალიტრა 2017).

ამასთან, ქართულში გავრცელდა „არტისტის“ სხვა მნიშვნელობებით გამოყენების შემთხვევებიც: **არტისტი – მხატვარი, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მიმდევარი: ვიდეოარტისტი, მულტიმედიაარტისტი...**

სასაუბრო ენაში ხშირია სიტყვა „არტისტის“ გამოყენება თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების წარმომადგენლის მნიშვნელობით. შედარებით იშვიათად გვხვდება ეს სიტყვა ვიზუალური ხელოვნების ტრადიციული დარგების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება და ა.შ.) წარმომადგენლის აღსანიშნავად:

„ავსტრალიელი **ვიზუალური არტისტის**, ფიონა დევისის **გამოფენა** „სისხლი აბრეშუმზე“ ნაწილია პროექტისა, რომელიც მეცნიერებას, მწერლობასა და ხელოვნებას აერთიანებს“ (ჯორჯიან პრესი 2014).

„ვიცი, რომ უამრავი **ქართველი არტისტი** მოღვაწეობს საზღვარგარეთ, ბევრ მათგანს აქვს წარმატება და მათ თითქმის არ ვიცნობთ. ეროვნულმა მუზეუმმა ბოლო პერიოდში მიზნად დაისახა, რომ **მათი ნამუშევრები ქართულ საგამოფენო სივრცეში წარმოაჩინოს**“ (ტაბულა 2012).

„მეც ამიტომ **არტისტების** პირად სივრცეებში შეჭრა დავიწყე. ასე აღმოვჩნდი ნ.ქ-ს დროებით **სახელოსნოში...**“ (ინდიგო 2017).

„ამ გალერეაში არაერთი ცნობილი ამერიკელი თუ უცხოელი **არტისტის ნამუშევრები გამოიფინა**“ (ფორბსი 2014).

„გამოფენაზე წარმოდგენილია 30-ზე მეტი თანამედროვე ახალგაზრდა არტისტის 24 ნამუშევარი (ფოტოები, ვიდეოები, არტ-ობიექტები) სხვადასხვა ქვეყნებიდან“ (კვ. პალიტრა 2017).

საყურადღებოა, რომ შ. აფრიდონიძის 1988 წელს გამოქვეყნებულ წერილში („ე. წ. „აბსოლუტური სინონიმების შესახებ“) [აფრიდონიძე 1988: 279-293], რომელშიც, სხვა სინონიმურ დუბლეტებთან ერთად, „არტისტისა“ და „მსახიობის“ მიმართების საკითხიცაა მიმოხილული, **არტისტის** როგორც **მხატვრის** მნიშვნელობა არაა დასახელებული. როგორც ჩანს, ამ დროისათვის „არტისტის“ ეს მნიშვნელობა ქართულში ჯერ კიდევ არ შეინიშნება. ამაზე მიგვანიშნებს ქეგლის ზემოთ დასახელებული ილუსტრაციაც, რომელშიც გამიჯნულია *არტისტი (მსახიობი)* და *მხატვარი* :

ერთხანს არტისტობდა, მერე მხატვრობას მოჰკიდა ხელი.

მნიშვნელობათა დისტრიბუციისათვის შდრ. ასევე – **დამსახურებული / სახალხო არტისტი** – სასცენო შემსრულებლის წოდება; **დამსახურებული / სახალხო მხატვარი** – მხატვრის, მოქანდაკის და ა. შ. წოდება.

არტისტის, როგორც აუდიო-ვიზუალური ხელოვნების, მათ შორის, მხატვრობის, წარმომადგენლის მნიშვნელობით გამოყენება თავდაპირველად ვიწრო პროფესიულ წრეში (ვიზუალური ხელოვნების წარმომადგენელთა არგოში) დაიწყო, სავარაუდოდ, 90-იანი წლების მიწურულს და შემდეგ მხატვართა არგოდან ის სასაუბრო ენაშიც გავრცელდა. „არტისტის“ ეს მნიშვნელობა ქართული ენის ლექსიკონებში არაა დადასტურებული, მაგრამ ძალიან ბევრი მაგალითი იძებნება თანამედროვე ქართულ პრესაში. იგივე შეიძლება ითქვას „არტისტის“ ამოსავალი ფუძის – „*არტ*“-ის (*ხელოვნება*) შესახებაც. სულ უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით ამ ნასესხობას (*არტი*) სასაუბრო ენაში (შდრ.: *არტპროექტი, არტგენი, არტარეა, არტრედაქტორი...*), განსაკუთრებით გავრცელებულია ამ სიტყვის გამოყენება ხელოვნების შედარებით ახალი დარგების აღსანიშნავად: *პოპარტი, ვიდეოარტი, ვიზუალური არტი...* (აქ *არტი* ხელოვნების სინონიმია), (შდრ. ზემოთ: *არტისტული, არტისტულად, არტისტიზმი...*). ისევე როგორც *არტისტის* შემთხვევაში, აქაც შეინიშნება ხელოვნების ძველი და ახალი დარგების გამიჯვნის ტენდენცია: ხელოვნების ძველი (ტრადიციული) დარგები – ხელოვნება (*სახვითი ხელოვნება, ქანდაკების ხელოვნება...*), ხელოვნების შედარებით ახა-

ლი დარგები – არტი (ვიდეოარტი – ვიდეოხელოვნება). შდრ.: კონცეპტუალური არტისტი – შუასაუკუნეების ხელოვანი.

დღეისათვის ქართულ ენაში ინტერნაციონალიზმი „არტისტი“ ორი სხვადასხვა პროფესიის აღსანიშნად იხმარება: **არტისტი – სასცენო შემსრულებელი, არტისტი – აუდიო-ვიზუალური ხელოვანი, მხატვარი.** ორივე მნიშვნელობა უცხო ენიდან ნასესხობაა, მაგრამ აქედან ერთი – არტისტი (სასცენო შემსრულებელი, მსახიობი) ფრანგულიდანაა შემოსული რუსულის გზით და უფრო ადრინდელი ნასესხობაა, მეორე – არტისტი (მხატვარი) ინგლისურიდან ნასესხობას წარმოადგენს (ეს შედარებით გვიანდელი ნასესხობაა).

ფრანგული „არტისტიც“ (artiste) და ინგლისური „არტისტიც“ (artist) მოდის art-იდან (ხელოვნება), -iste/-ist (პროფესიის აღმნიშვნელი, მიმდევარი) სუფიქსის დართვით; ორივე სიტყვის ამოსავალია ლათინური ძირი - ars, artis (ხელობა, საქმიანობა, ხელოვნება, მეცნიერება) [დვორეცკი 1986], ხოლო ამ ძირიდან მომდინარე ხელობის სახელების პოლისემია ინდოევროპულ ენებში (არა მხოლოდ ფრანგულსა და ინგლისურში) აღსანიშნი ცნების (ხელოვნების) მრავალფუნქციურობით არის განპირობებული.

აღსანიშნავია, რომ ფრანგულში artiste-ს რამდენიმე მნიშვნელობა უდასტურდება: მხატვარი; მსახიობი; თავისი საქმის მცოდნე, ოსტატი [ფრანგ. ლექს.], ასევე რუსულ ენაშიც – დალის ლექსიკონის მიხედვით: რუს. артистъ – ფრანგ. მხატვარი, ნატიფი ხელოვნების მიმდევარი; უფრო ხშირად უწოდებენ მუსიკოსებს, მსახიობებს, მოცეკვავეებს, ილუზიონისტებს, მზარეულებსაც კი... // ზოგადად, თავისი საქმის ოსტატი, საქმეში დახელოვნებული, საქმის მცოდნე [დალი I, 1981]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულში თავის დროზე ფრანგულიდან რუსულის გზით არტისტი სწორედ უფრო ხშირად გავრცელებული ერთი მნიშვნელობით (მსახიობი, სცენაზე გამომსვლელი) შემოვიდა.

პოლისემიურია ინგლისური artist-იც: 1. მხატვარი, 2. თავისი საქმის მცოდნე, ოსტატი. ასევე, ინგლისურ ენაში გვხვდება არტისტი „სასცენო შემსრულებლის“ მნიშვნელობითაც, ის ფრანგულიდან ნასესხობაა, იწერება ისევე, როგორც ფრანგული artiste და მცირედი ფონეტიკური განსხვავებით გამოითქმის: [a:'ti:st] – შდრ.: ინგლ. artist ['a:tist], [ჰორნბი I, 1982]. თუმცა ფრანგული ენიდან ნასესხები artiste-

ის პარალელურად ინგლისურ ენაშიც გვხვდება artist „სასცენო შემსრულებლის“ მნიშვნელობით.

ქართულ ნასესხობებში ფონეტიკური განსხვავება არ გვაქვს, ისე ჩანს, თითქოს ერთი ხელობის სახელი ორ სხვადასხვა მნიშვნელობას ფარავს. აქედან გამომდინარე, როგორც უკვე ვთქვით, კონტექსტის გარეშე გაურკვეველია, არტისტის რომელი მნიშვნელობა იგულისხმება, მაგალითად, ამ საგაზეთო სტატიის სათაურში: „საქართველოში დაბადებული ამერიკელი არტისტი“ (24 საათი 2016): ის, რომელიც სცენაზე გამოდის, თუ ის, რომელიც ხატავს. ასეთი ორაზროვნება პრესაში ხშირია.

სასაუბრო ენასა და პრესაში გავრცელებული მაგალითები მოწმობს „არტისტის“ პოლისემიისკენ სწრაფვას ქართულში, ევროპული ენების მსგავსად. შდრ. *არტისტი – მსახიობი, მუსიკოს-შემსრულებელი. ფართო გაგებით, ადამიანი, რომელიც ხელოვნების ამა თუ იმ დარგში ეწევა შემოქმედებითს საქმიანობას* [ქსე I. 1975: 592]. ამიტომ შესაძლებელია, რომ ენაში არც კი დადგეს ორაზროვნების თავიდან ასარიდებლად მოცილე ფორმათაგან (*არტისტი – სასცენო შემსრულებელი, მუსიკოსი,.. არტისტი – მხატვარი*) ერთ-ერთის არჩევის საჭიროება, და *არტისტი ხელოვანის (ხელოვნების ნებისმიერი დარგის წარმომადგენლის)* სინონიმად მოგვევლინოს (სხვათა შორის, ეს პოტენცია აქვს მხატვარსაც: **მხატვარ-ი (მხატვრი-სა)** 2. *საერთოდ, ხელოვნების ამა თუ იმ დარგში მომუშავე პირი, – შემოქმედი. // გადატ. მხატვრული სიტყვის ოსტატი, – მწერალი. გიორგი წერეთელმა, როგორც მხატვარმა, დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობის ქართველ მწერლებზე (გ. ქიქ.)* [ქეგლი V, 1958]); ამ შემთხვევაში უკვე **ხელოვანისა** და **არტისტის** სინონიმური ურთიერთმიმართების საკითხიც შეიძლება დადგეს. შდრ.: **ხელოვან-ი (ხელოვანისა)** 1. *ხელოვნების მუშაკი, ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენელი (მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი და სხვ.). [როდენი] იყო არა მარტო დიდი ხელოვანი, არამედ საინტერესო მოაზროვნეც* (გ. ქიქ.). 2. *თავისი ხელობის, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე, – დახელოვნებული. სუტ-კნეინამ, ხელოვანმა სუტ-კნეინამ, ძალიან ცბიერებითა თქვა ეს... სიტყვა (ილია)* [ქეგლი VIII 1964].

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1988 – შ. აფრიდონიძე, ე. წ. „აბსოლუტური სინონიმების“ შესახებ: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, გვ. 279-293, თბილისი.

ქეგლი I, 2008 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, რედაქტორი ა. არაბული, ტომი I, თბილისი.

დალი I, 1981 – Даль В., Толковый словарь живого великорусского языка, том I, Москва.

დვორეცკი 1986 – Дворецкий И.Х., Латинско-русский словарь, Издание 3-е, исправленное, Москва.

ოჟეგოვი 1963 – Ожегов С.И., Словарь русского языка, Москва.

უცხო სიტყვათა ლექს. 1989 – უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

ფრანგ. ლექს. – Collins French Dictionary online: www.collinsdictionary.com

ქართული ლექსიკონი 2014 – გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. და-თუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქსე I, 1975 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, თბილისი.

ჰორნბი I, 1982 – A. S. Hornby, Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English, in two volumes, v.1, Oxford.

წყაროები

იმედი 2017 – სააგენტო „იმედი“, 11.04.2017: www.imedinews.ge

ინდიგო 2017 – ჟურნალი „ინდიგო“, 16.02.2017: www.indigo.com.ge

კვ. პალიტრა 2017 – გაზეთი „კვირის პალიტრა“: 01.09.2017, www.kvirispalitra.ge

- 24 საათი, 2016** – გაზეთი „24 საათი“, 26.12.2016.
- პალიტრა 2017** – სააგენტო „პალიტრა“, 30.03.2017: www.palitraneews.ge
- ჯორჯიან პრესი 2014** – საინფორმაციო ინტერნეტგამოცემა „ჯორჯიან პრესი“, 12.05.2014: www.georgianpress.ge
- ტაბულა 2012** – ჟურნალი „ტაბულა“, #116, 2012: www.npl.gov.ge
- ფორბსი 2014** – ჟურნალი „ფორბსი“, 09.12.2014: www.forbes.ge

Tamar Sukhishvili

Artist-i: Stage Performer or Painter?

Summary

Georgian dictionaries define the foreign loanword *artist-i* as a French borrowing adopted into Georgian from Russian that denotes *a stage performer*, mainly *an actor*. However, recent observations show that the meaning of a film/theatre actor gradually disappears while the meaning of a stage performer (a musician, an instrumentalist, a singer, etc.) takes its place. At the same time the use of the word *artist-i* as *an artist*, *a painter* (*mostly creator of contemporary art*) becomes very frequent. This meaning is not attested in the dictionaries of the Georgian language. *Artist-i* having the meaning of *an artist/a painter* is borrowed from the English language. It appeared by the end of the 1990-s in the argot of art professionals and its use spreads into the colloquial language. The review of the examples found in the Georgian print media suggests that the loanword *artist-i* shows inclination to polysemy (***artist-i – a stage performer; a painter***). The possibility of the international loanword *artist-i* in Georgian to denote professionals working in various fields of art (music, painting, literature, etc.) and hence, to become a synonym of the Georgian term *khelovan-i* (*artist* in general) cannot be excluded.